ნუთუ ყველა თქვენგანი საკუთარ ღმერთს არ ევედრება, მაშ, ნუ შეაწუხებთ ერთმანეთს

აბუ საიდ ალ-ხუდრის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემის თანახმად, მან თქვა: შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ღვთისმსახურებისთვის განმარტოვდა მეჩეთში, და მოისმინა იქ მყოფები ხმამაღლა კითხულობდნენ, მან ფარდა მოხსნა და თქვა: «ნუთუ ყველა თქვენგანი საკუთარ ღმერთს არ ევედრება, მაშ, ნუ შეაწუხებთ ერთმანეთს, და ნუ აამაღლებთ თქვენს ხმას ერთმანეთის ზემოთ ყურანის კითხვაში», ან თქვა: «ლოცვაში».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ითთიყაფზე ღვთისმსახურებისათვის (განმარტოვებული) იმყოფებოდა თავის მეჩეთის შიგნით გუმბათში, და მან გაიგონა, რომ მისი საჰაბები ძალიან ხმამაღლა კითხულობდნენ ყურანს, და ასეთი კითხვით ისინი ერთმანეთს აწუხებდნენ. მან გუმბათს ფარდა მოხსნა, მათი საქციელი დაგმო, გაკიცხა ისინი და თქვა: ყველა თქვენგანი ღმერთს ევედრება ყურანის კითხვით, მაშ, ერთმანეთი არ შეაწუხოთ, თქვენგან არცერთმა არ აიმაღლოს ხმა სხვებთან შედარებით კითხვაში, ან ლოცვაში.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65252

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee